

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი №6

ქ. თბილისი

27.03.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნოდარ პაპუკაშვილი - შპს „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სამართლის დოქტორი, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

გრიგოლ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, რევაზ დოღონაძის სახელობის თეორიულ კვლევათა ლაბორატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი; საბჭოს სხდომის მდივანი;

ზურაბ გასიტაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი სალუქვაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს მდივანი;

ირაკლი მჭედლიშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ეკა ლეფსვერიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორი;

თინათინ კაიშაური - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

თამარ ბაღდავაძე - შპს „ლენდ მარკ პროჯექტის“ არქიტექტორი; ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ხელოვნების ლექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი;

ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენლები:

თამარ ქიტიაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე;

ლელა მაისურაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მდივანი;

გიორგი ტრაპაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

„შპს გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +“-ის წარმომადგენლები:

ნანა ბეროშვილი - კოლეჯის დირექტორი

გიორგი წიქარიშვილი - რწმუნებული პირი

საბჭოს სხდომა დაიწყო 18:10 საათზე.

სააპელაციო საბჭოს სამდივნოს წევრმა, ლანა გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა საბჭოს სხდომის ოქმის პროექტის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიოჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის შედგენისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26⁵-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 26⁷-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ნოდარ პაპუკაშვილმა. ამავე ნორმის თანახმად, საბჭოს მდივნის მოვალეობა შეასრულა გრიგოლ ტატიშვილმა.




საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ, ავტორიზაციის დებულების 26⁶-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოდან სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს თავმჯდომარე თამარ ქიტიაშვილი, საბჭოს მდივანი ლელა მაისურაძე და საბჭოს წევრი გიორგი ტრაპაიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. „შპს გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +“-ის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წინაშე შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.



1. „შპს გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +“-ის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თავმჯდომარემ კოლეჯის წარმომადგენლებს მიმართა წარმოედგინათ საჩივარი და ყურადღება გაემახვილებინათ პრობლემურ საკითხებზე.

კოლეჯის დირექტორმა, ნანა ბეროშვილმა სააპელაციო საჩივარი გააცნო სააპელაციო საბჭოს. აღნიშნა, რომ კოლეჯმა გაასაჩივრა 2018 წლის 28 იანვრის №11 გადაწყვეტილება „შპს - „გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +“ - ის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ“. დირექტორის აზრით, კოლეჯი აკმაყოფილებს ავტორიზაციის პირობებს. საგნობრივ პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე, კოლეჯს სურვილი აქვს უზრუნველყოს მათი სწავლება კვალიფიკაციის მინიჭებამდე, რადგან მოქმედი კანონმდებლობით, ამ პროფესიულ სტუდენტებს არ აქვთ მობილობით სარგებლობის და სხვაგან სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

გრიგოლ ტატიშვილმა შენიშნა, რომ კოლეჯის წარმომადგენლები აპელირებდნენ, რომ სტუდენტებმა სწავლის დასრულება ვერ შეძლეს.

აღნიშნულს არ დაეთანხმა კოლეჯის დირექტორი.

თავმჯდომარე დაინტერესდა, რატომ გაუუქმდა კოლეჯს ავტორიზაცია.

გიორგი წიქარიშვილმა აღნიშნა, რომ არის რამდენიმე ფაქტობრივი გარემოება, რომელთაგან ორ გარემოებას დაეფუძნა საბჭოს გადაწყვეტილება კოლეჯისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ. პირველი - კოლეჯში მონიტორინგი განხორციელდა არდადეგების დროს. კოლეჯში არსებული არდადეგების თაობაზე წინასწარ საქმის კურსში იყვნენ უფლებამოსილი პირები. სადაოდ არაა ქცეული, რომ კოლეჯს აქვს უფლება გამოაცხადოს არდადეგები. ის, რომ იმ მომენტში უფლებამოსილი პირები კოლეჯში არ იმყოფებოდნენ, თუ ჩავთვლით იმას, რომ შესვენების გამოცხადების უფლება გააჩნდა უშუალოდ თვითონ კოლეჯს და ამაზე დამატებითი რეგულაციები არ არსებობს, ეს არის სრულიად ბუნებრივი. დაწესებულება იმყოფებოდა არდადეგებზე, ეს გულისხმობს სასწავლო პროცესის დროებით შეჩერებას და პერსონალის არდადეგებზე გაშვებას, მათ შორის ადმინისტრაციული პერსონალის.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ იყო დაკეტილი კოლეჯი.



გიორგი წიქარიშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა არდადეგების გამო და ამიტომ იყო დაკეტილი. არ მუშაობდა სასწავლო მიმართულება, ასევე ადმინისტრაცია. ის, რომ კოლეჯი არდადეგების დროს იყო დაკეტილი, რაიმე მართლსაწინააღმდეგო არ ყოფილა. ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თუ მიეთითება ფაქტები, უნდა მიეთითოს ამ ფაქტზე კონკრეტული მართლზომიერი მუხლი. არ არის მითითება, რომ ამით დარღვეულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების ფორმალური მოთხოვნები. გადაწყვეტილებაში არ არის შესაბამისად, რაიმე მუხლი მითითებული, რომ კოლეჯი იყო არდადეგებზე და ეს რაიმე ნორმას ეწინააღმდეგება. არ არსებობს რეგულაცია, რომელიც ამას ჩათვლიდა მართლსაწინააღმდეგოდ. დარღვეულია არა მხოლოდ ფორმალური მხარე, თუნდაც იყოს დარღვევა, მაგრამ საბჭო არ უთითებდეს მუხლს, არა იმიტომ, რომ გამორჩათ ტექნიკური ხარვეზის გამო, არამედ არ არსებობს სათანადო სამართლებრივი საფუძველი, რითაც იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ კოლეჯი იყო არდადეგებზე და ამის გამო პროცესები არ მიმდინარეობდა, გახდის სადაოს და სამართლებრივად არამართლზომიერს. არ არსებობს სათანადო სამართლებრივი საფუძველი, რომლის ნიადაგზე შეიძლება ითქვას, რომ არის დარღვევა ხარისხის, რის საფუძველზეც შეიძლება კოლეჯს გაუუქმდეს ავტორიზაცია.

მეორე გარემოებაა, როდესაც კოლეჯს მიენიჭა ავტორიზაცია, ავტორიზაციის ვადა გრძელდება 2019 წლის 30 აგვისტომდე. კოლეჯი იჯარის ხელშეკრულებით ფლობს ფართს. რადგანაც ერთი ხელშეკრულების მოქმედების ვადა დასრულდა 2017 წლის ნოემბერში, ხოლო მეორე სრულდება 2019 წლის ივნისში, ჰიპოთეტურად იქმნება რისკი, რომ ივნისიდან აგვისტომდე პერიოდში შეიძლება შეფერხება შეექმნას სასწავლო პროცესის ჯეროვან განხორციელებას. სადაო არაა, სახეზეა ფაქტობრივი გარემოება, რომ იჯარის ხელშეკრულება მოქმედი ივნისამდე. ფაქტობრივი გარემოება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, ამაზე შესაძლოა გარკვეული თანაზომიერება არსებობდეს, მაგრამ, როდესაც საუბარია დარღვევაზე და დარღვევიდან გამომდინარე პასუხისმგებლობაზე, ეს უნდა ჩაითვალოს იმ ხარისხის დარღვევად, რომელიც არის წინაპირობა ასეთი მკაცრი ზემოქმედების ღონისძიებების გატარების. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, მოქმედი კანონმდებლობით, საგანმანათლებლო რეგულაციებით, გამოიყენება ორი მიმართულება საქმის შინაარსიდან გამომდინარე, 1. „ვაფრთხილებთ, ან ვუწყებთ დამატებითი ვადას, რომ აღმოიფხვრას ყველა წინაპირობა“, რასაც შესაძლოა მოყვეს ივნისიდან აგვისტომდე პერიოდში გარკვეული შეფერხებები. გიორგი წიქარიშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოზე იყო საუბარი და ოქმშიც ასახული იქნება, რომ იყო ალტერნატიული ფართი, რომელიც, რომ გადასულიყო კოლეჯის საკუთრებაში, დამოკიდებული იყო დამფუძნებელი პირის ნებაზე. საბჭოს შეეძლო კოლეჯისთვის მიეცა დამატებითი ვადა, თუნდაც 2-3 დღე, რისი ვალდებულებაც არსებობს არსებული რეგულაციით. თუ ამის შემდეგ არ გამოსწორდებოდა, საბჭოს ექნებოდა დასაბუთებული დარღვევა, რასაც შეიძლებოდა დაყრდნობოდა გადაწყვეტილება.

თავმჯდომარე დაინტერესდა, ამ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით დღეს რა მდგომარეობაა, რომ არ მოხდეს წყვეტა ივნისიდან აგვისტომდე.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ უკვე გაფორმებულია იჯარა. აღნიშნა, რომ საბჭოზე მან თქვა, რომ ეს ფართი გაფორმებული იყო მასზე, როგორც ფიზიკურ პირზე.

გიორგი წიქარიშვილმა აღნიშნა, რომ ნანა ბეროშვილს საკუთრებაში ჰქონდა ალტერნატიული ფართი, რომელიც გადაეცა კოლეჯს 30 იანვარს და გატარებულია შესაბამისად საჯარო რეესტრში. ნანა ბეროშვილი ამ ფართს სწორედ კოლეჯის მიზნებისთვის ფლობდა. წინასწარ იქნა მოძიებული, რომ თუ კოლეჯის იჯარას საფრთხე შეექმნებოდა, ეს ფართი გამოეყენებინა.

თავმჯდომარე დაინტერესდა, ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე სხვა პრობლემა ხომ არ დაფიქსირებულა.

გიორგი წიქარიშვილმა აღნიშნა, რომ საუბარი ეხებოდა კოლეჯის ვებ გვერდს, თუმცა ამ საკითხს არ დაფუძნებია საბჭოს გადაწყვეტილება.

თამარ ბაღდავაძე დაინტერესდა არდადეგები რა პერიოდში ჰქონდა კოლეჯს.

ნანა ბეროშვილმა უპასუხა, რომ კოლეჯში არდადეგები გამოცხადებული იყო 3 დეკემბერს, 5 დეკემბრიდან 14 იანვრის ჩათვლით. შენიშნა, რომ არდადეგები 15 დეკემბრიდან იწყება ხოლმე და ამ შემთხვევაში 10 დღით ადრე გამოაცხადეს. სწავლა დაიწყო 1 ოქტომბერს, ხოლო 5 დეკემბრიდან დროებით არდადეგები გამოაცხადეს.

ირაკლი მჭედლიშვილმა შენიშნა, რომ მას სიტყვა „დროებით“, ესმის როგორც ერთი დღე ან ერთი კვირა. ამხელა არდადეგები არ არის დროებითი.

თავმჯდომარე დაინტერესდა, რამ გამოიწვია არდადეგების გამოცხადება 3 დეკემბერს.

ნანა ბეროშვილმა შენიშნა, რომ არდადეგები სტუდენტებმა მოითხოვეს.

გიორგი წიქარიშვილმა დაინტერესდა, ამ ეტაპზე, ამ სახის და ხარისხის დაწესებულებაში რამდენხანს უნდა გაგრძელდეს არდადეგები და რამდენხანს უნდა გაგრძელდეს სასწავლო პროცესი, თუ არის დადგენილი, რა რეგულაციაა მოქმედი და თუ ამ ნაწილში კონკრეტული შეუსაბამობაა, რა არის ამის არგუმენტი.

ირაკლი მჭედლიშვილი დაინტერესდა, კოლეჯის გეგმით როგორ არის გათვალისწინებული, რამდენი კვირა უნდა გრძელდებოდეს სწავლის პროცესი და თუ იცავს ამას კოლეჯი.

ნანა ბეროშვილმა აღნიშნა, რომ იცავენ ამას. თუმცა, ეს არდადეგები იყო რიგგარეშე არდადეგები.

თამარ ბაღდავაძე დაინტერესდა, რატომ გამოაცხადეს არდადეგები, თუ იცოდნენ რომ მონიტორინგი მიდიოდა კოლეჯში.

ნანა ბეროშვილმა აღნიშნა, რომ კოლეჯმა არ იცოდა ვიზიტის შესახებ წინასწარ. არდადეგები გამოაცხადეს 3 დეკემბერს. ცენტრიდან კოლეჯს დაუკავშირდნენ 5 დეკემბერს.

ეკა ლეფსვერიძემ აღნიშნა, რომ მან წარმოდგენილ მასალებში წაიკითხა, რომ არდადეგები უკავშირდებოდა ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებს. აღნიშნა, რომ შემფოთდა და კითხვები

გაუჩნდა, მეტეოროლოგიურ პირობებზე თუა დამოკიდებული კოლეჯში სწავლის პროცესი, დაინტერესდა, რა პირობები აქვთ ასეთი, რომ მეტეოროლოგიურმა პირობებმა შეიძლება შეუშალოს ხელი სასწავლო პროცესს, თუ საუბარი არაა ბუნებრივ კატასტროფაზე და ფორსმაჟორზე.

ნანა ბეროშვილმა დაადასტურა, რომ ცუდი ამინდები იყო, ამ გარემოების გარდა სტუდენტთა მოთხოვნაც იყო არდადეგების გამოცხადება, ეს ორივე გარემოებაა ნახსენები სააპელაციო საჩივარშიც. შენიშნა, რომ 3 დეკემბერს კოლეჯის ვებ გვერდზე გამოქვეყნდა, რომ დაიგეგმა არდადეგები. ცენტრის მონიტორინგის სამსახურიდან კოლეჯის დირექტორს დაუკავშირდნენ 5 დეკემბერს. ამ დროს უკვე არდადეგებზე იმყოფებოდნენ.

ეკა ლეფსვერიძემ აღნიშნა, რომ გამოდის სტუდენტებს კოლეჯი აძლევს ამდაგვარ თავისუფლებას.

ნანა ბეროშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტების აზრს ითვალისწინებენ. შენიშნა, რომ კოლეჯი არ ახორციელებს მოდულურ პროგრამას, ახორციელებენ მხოლოდ საგნობრივ პროგრამებს, მიღევად რეჟიმში. ჰყავდათ 27 სტუდენტი. კოლეჯს არ ჰქონდა სხვა ახალი სტუდენტების მიღების უფლება. ავტორიზაციის ვადა ეწურებოდათ აგვისტოში. ამ სტუდენტების უმრავლესობა სწავლას ასრულებდა ივნისის პირველ რიცხვებში და მხოლოდ 4 სტუდენტი რჩებოდა მასაჟისტის პროგრამაზე, აღნიშნა, რომ კოლეჯს ავტორიზაციის დროს ჰქონდა დაგეგმილი მოდულური პროგრამების დამატება. შენიშნა, რომ 2018 წლის ივნისში გაიარეს რეავტორიზაცია, იგივე იჯარის ფართით, იგივე მოთხოვნით.

თავმჯდომარე დაინტერესდა, როდის მიიღეს პირველი ავტორიზაცია.

ნანა ბეროშვილმა უპასუხა, რომ ავტორიზაცია კოლეჯს მიენიჭა 2014 წელს. 2018 წელს, საბუთების წარდგენით და ყველაფრით, ჩვეულებრივ ჩატარდა საბჭო და რეავტორიზაცია გაიარეს 2018 წლის ივნისში.

თამარ ქიტიაშვილმა იკითხა, პროგრამის დამატებას ხომ არ გულისხმობდა ნანა ბეროშვილი.

ნანა ბეროშვილმა აღნიშნა, რომ რეავტორიზაცია გაიარა და ამას ექსპერტებიც აღნიშნავენ დასკვნაში.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოადგილემ ნანი დალაქიშვილმა საბჭოს განუმარტა, რომ კოლეჯს რეავტორიზაცია 2018 წელს არ გაუვლია, 2018 წლის ივნისში ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მხოლოდ ცვლილება შევიდა ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილებაში.

გრიგოლ ტატიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება, რომელიც დამოკიდებულია მეტეოროლოგიურ პირობებზე, ასევე, როგორც საბჭოსთვის ატვირთული მასალებიდან ჩანს, დირექტორის ავადმყოფობამაც განაპირობა არდადეგების გამოცხადება, ერთი ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზეა დამოკიდებული დაწესებულების ფუნქციონირება, რამდენად შეიძლება საუბარი ასეთი დაწესებულების მდგრადობაზე. დაინტერესდა, თუნდაც არდადეგები, რატომ არის მიზეზი, რომ კოლეჯს არ მიეღო ხარისხის ცენტრის

ექსპერტთა ჯგუფი. რატომ არ შეიძლება ხდებოდეს მათი მიღება. კოლეჯი თითქოს აპელირებს, რატომ არ აცადეს სასწავლო პროცესი განხორციელებინათ იმ სტუდენტებისათვის, რაზეც საუბარი იყო ზემოთ. იკითხა საერთოდ, ეს საკითხი როგორ გადის არა სააპელაციო, არამედ თავის დროზე როგორ გავიდა ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე, რამდენადაც ფაქტობრივად სრულყოფილად ვერ განხორციელდა მონიტორინგი, საიტიტ შესწავლილ საკითხზე საერთოდ როგორ შეიძლება მსჯელობა. ერთ ადამიანზე „ჩამოკიდებულ“ სასწავლებელს როგორ უნდა ჰქონდეს მდგრადობა.

ირაკლი მჭედლიშვილი დაინტერესდა, ადმინისტრაციაში რამდენი თანამშრომელი ჰყავს კოლეჯს.

ნანა ბეროშვილმა აღნიშნა, რომ ადმინისტრაციაში 5 თანამშრომელია.

ირაკლი მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ამ 5-დან ერთ-ერთი, რომ დახვედროდა ექსპერტთა ჯგუფს და შენობა მაინც ენახა ექსპერტთა ჯგუფს, შეიძლებოდა თუ არა. გასაგებია, რომ ადამიანები ავად ხდებიან, ამას წინ ვერაფერი დაუდგება. დაინტერესდა, დარაჯი მაინც თუ ჰყავდა დაწესებულებას, რომ ექსპერტები შენობაში შეეშვა. ექსპერტები შეძლებდნენ ის მაინც დაედასტურებინათ, რამდენად აკმაყოფილებს კოლეჯის შენობა სტანდარტის მოთხოვნებს. განა არ შეიძლებოდა, რომ არდადეგების პერიოდში ვინმე გამოეყო კოლეჯის დირექტორს, ვინც პასუხს გასცემდა ექსპერტებს. შესაძლოა ყველა კითხვაზე პასუხი ვერ გაეცა მას და ყველა დოკუმენტი ვერ მიეცა ექსპერტებისთვის, თუმცა მათ მიღებას მაინც შეძლებდა. დაინტერესდა, კოლეჯის დირექტორი რამდენი ხანი იმყოფებოდა საავადმყოფოში.

ნანა ბეროშვილმა აღნიშნა, რომ ის სტენოკარდიით იმყოფებოდა საავადმყოფოში. ცენტრის წარმომადგენელი როცა დაუკავშირდა მას, ვინაიდან უკვე არდადეგებზე იმყოფებოდნენ, მან სთხოვა ცენტრის წარმომადგენელს ვიზიტი გადადებულიყო. შემდეგ ვიზიტის გადადების თაობაზე ელექტრონული ფოსტა გამოაგზავნა ცენტრში. წერილში აღნიშნა, რომ მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება რომ არ შეფერხებულიყო, ვიზიტი გადადებულიყო და განხორციელებულიყო ზამთრის არდადეგების შემდეგ.

ირაკლი მჭედლიშვილი დაინტერესდა, რა რთული მეტეოროლოგიური პირობები შეიქმნა, მით უფრო, რომ არცთუ მკაცრი ზამთარი იყო წელს.

ზურაბ გასიტაშვილმა აღნიშნა, რომ ვირუსებთან და გრიპთან დაკავშირებით წელს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციით იანვარში იყო გამოცხადებული არდადეგები. თუ ორ კვირაში კოლეჯი შეძლებდა გამოესწორებინათ ხარვეზები, მაშინ ავტორიზაციის ღირსი ყოფილა, თუ არადა ორ კვირაში არ სწორდება სერიოზული ხარვეზები. ხომ შეიძლებოდა გარკვეული პირობების გამო, ავად იყო/ცნობა წარმოადგინა, ცენტრის მხრიდან ინფორმირებას წინ უსწრებდა თანამშრომლების დათხოვნა არდადეგებზე, ცენტრის წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, არ შეიძლებოდა ვიზიტი გადადებულიყო, შემდგარიყო სრულყოფილი ვიზიტი და შემოწმებულიყო დაწესებულებას სრულყოფილად.

ნანი დალაქიშვილმა უპასუხა მას. აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების თანახმად, მონიტორინგის თაობაზე ბრძანება დაწესებულებას ეცნობა ვიზიტის წინა დღეს, ან

უშუალოდ ვიზიტის დღეს. ცენტრიდან დაწესებულებას დაუკავშირდნენ ვიზიტის წინა დღეს და ეცნობა ვიზიტის შესახებ. გადადების თაობაზე განემარტა დაწესებულებას, რომ საჭირო იყო ოფიციალური წერილი, რომლითაც ითხოვდა ექსპერტთა ვიზიტის გადადებას. წერილი ოფიციალურად არ შემოსულა. წერილი კანცელარიით არ არის დარეგისტრირებული. წერილი, რომ შემოსულიყო სამსახური განიხილავდა და მიაწოდებდა დირექტორს ინფორმაციას. სამსახურს აქვს ასეთი შემთხვევები.

ნანა ბეროშვილმა აღნიშნა, რომ კოლეჯმა მეილი გამოაგზავნა და ცენტრიდან დაუდასტურეს ამ მეილის მიღება.

გიორგი წიქარიშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულია ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის გარეშე, სამართლებრივი საფუძვლების არსებობის გარეშე, არცერთ წინაპირობაში კოლეჯის მიზეზობრიობა არ იკვეთება, თუ კოლეჯი არის არდადეგებზე და უარს ამბობს მონიტორინგზე, არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა, იმ შემთხვევაშიც კი როცა არსებობს სასამართლო პროცესზე პატივსადები საფუძველი, სასამართლო გადაწყვეტილებაც გადახედვადია. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტს კითხვის ნიშნის ქვეშ არავინ არ აყენებს, თუ არსებობს პატივსადები საფუძველი.

თავმჯდომარე დაინტერესდა, რას ნიშნავს პატივსადები საფუძველი.

გიორგი წიქარიშვილმა აღნიშნა, რომ პატივსადებია საფუძველი თუ გადაწყვეტის იმას, რომ იმ მომენტში პირი იქ არ იყო.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასამართლო 90%-ს არ იზიარებს. არაა მისაღები მიზეზი, „არ მცალია“.

გიორგი წიქარიშვილმა აღნიშნა, რომ „არ მცალია“ განსხვავდება მიზეზისაგან „ცუდად ვარ“ - თუ არის სამედიცინო დაწესებულების ოქმი ან გადაწყვეტილება.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს არის განათლების სისტემა. მონიტორინგს ექვემდებარება კონკრეტული დაწესებულება. ამხელა გზაზე ექსპერტები ჩამოდიან და როგორ შეიძლება მატერიალური ბაზა მაინც არ ეჩვენებიათ ექსპერტებისთვის. მართლაც საპატიო მიზეზია, რთული დაავადებაა, რაც დირექტორს აწუხებდა, თუმცა, ერთი ადამიანის დახვედრა უნდა მომხდარიყო, ვინც მასპინძლობას გაუწევდა ექსპერტთა ჯგუფს.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ კოლეჯს 2018 წელს არ გაუვლია ხელახალი ავტორიზაცია, არც პროგრამის დამატება არ ყოფილა. საქმე ეხება ავტორიზაციის შესახებ არსებულ გადაწყვეტილების ცვლილებას, რომლითაც პროგრამებზე განესაზღვრა ზღვრული რაოდენობა. შენიშნა, რომ 2014 წლის შემდეგ კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფი არ ყოფილა. რაც შეეხება კოლეჯის წერილს, ვიზიტის გადადებასთან დაკავშირებით, ცენტრში არ დარეგისტრირებულა და სამსახურს არ აწერია ამ დრომდე.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენლებს.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის შესახებ გამოიცემა ცენტრის დირექტორის ბრძანება, შესაბამისად ვიზიტის წინა დღეს რომც

დარეგისტრირებულიყო კოლეჯის განცხადება ვიზიტის გადადების თაობაზე, დირექტორის ბრძანებაში უნდა შესულიყო ცვლილება.

ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ, ცენტრს ერთადერთი მექანიზმი აქვს ხარისხის შესამოწმებლად, ეს არის მონიტორინგი. მონიტორინგის შესახებ კოლეჯს ეცნობება ვიზიტამდე ერთი დღით ადრე. მონიტორინგის თაობაზე შეთანხმება და მოლაპარაკება, რომ იყოს წინასწარ, ეს მექანიზმი, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი დაკარგავს თავის მნიშვნელობას. არდადეგების პერიოდშიც კი გამართული, მოწესრიგებული დაწესებულება, რომელშიც ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები მიმდინარეობს, ერთი ადამიანის ავად გახდომაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული და მინიმუმ ერთი სხვა ადამიანი მაინც უნდა არსებობდეს, რომელიც მიიღებს ექსპერტთა ჯგუფს. ის მიუხეობს, რომლებიც ოქმშიცაა ასახული, რასაც კოლეჯის დირექტორი ასახელებდა, იყო ის, რომ მას სეიფში ჰქონდა ყველა დოკუმენტი, რაც იყო დაკავშირებული საქმისწარმოებასთან. სეიფის გასაღები მას თან ჰქონდა წაღებული თბილისში და აქედან გამომდინარე, ის ვერავის ანდობდა ამ დოკუმენტაციის მიწოდებას მონიტორინგის ჯგუფის წევრებისათვის. საბჭოს პირველი კითხვა გაუჩნდა, დაწესებულება, სადაც ერთ ადამიანზეა დამოკიდებული ყველაფერი და არ არსებობს ნდობით აღჭურვილი პირი, რამდენად შეიძლება იყოს სანდო, იმ კუთხით, რომ მიმდინარეობდეს ხარისხის უზრუნველყოფა. მეორე საკითხია, ის რომ თვითონ დაწესებულებას სათანადოდ არ გაუკეთებია განაცხადი ვიზიტის გადადების თაობაზე, თუმცა ის გარემოება, რომელზეც აპელირებს კოლეჯი, რომ მას ყავდა მცირე კონტიგენტი, 27 სტუდენტი და ამიტომ 400 კვ.მ. ფართი საჭირო აღარ იყო, საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან კოლეჯს ავტორიზაცია მიღებული აქვს 2014 წელს 160 სტუდენტზე. ავტორიზაციის დებულების 30²-ე მუხლის მიხედვით, თუკი კოლეჯი იცვლის ფართის მოცულობას, ან მისამართს, მან ამის თაობაზე უნდა აცნობოს ცენტრს, რაც კოლეჯს არ გაუკეთებია, არ აცნობა ცენტრს. საბჭო მოკლებული იყო საფუძველს, რომ განსხვავებული მიდგომით შეემოწმებინა მისი ფართი. კოლეჯს ჰქონდა შესაძლებლობა, 2018 წელს, ავტორიზაციის დებულებაში ცვლილების შემდეგ, 1 მარტამდე შეეცვალა არსებული ზღვრული რაოდენობა და შეემცირებინა კვოტა, ამით ფართის ფლობის ვალდებულებას აარიდებდა თავს. ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, ერთი ქვესტანდარტის დარღვევაც კი საკმარისი საფუძველია საბჭოსთვის, რომ მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ. საბჭო ნამდვილად მოკლებული იყო შესაძლებლობას, რომ განეხილა ავტორიზაციის ყველა სტანდარტის გარემოება, ვინაიდან შექმნილი გარემოებიდან გამომდინარე, მონიტორინგის ჯგუფს არ მიეცა შესაძლებლობა კოლეჯში შესულიყო. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სტანდარტი ვერ შემოწმდა, შემოწმდა, ვებ გვერდი, რომელიც უნდა ფუნქციონირებდეს, არ ფუნქციონირებდა. ექსპერტებმა ვერ შეძლეს ვებ გვერდის მიგნება, ოქმშიც ასახულია, რომ დირექტორი ადასტურებს, რომ ხარვეზით იყო წარმოდგენილი.

ნანა ბეროშვილმა აღნიშნა, რომ ხარვეზი არ იყო. გიორგი წიქარიშვილმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებიან ამ საკითხს, უნდა მოეთხოვათ დომენი. ის, რომ რაიმე არ იძებნება google-ის საძიებო სისტემაში, არ ნიშნავს, რომ არ ფუნქციონირებს.

თამარ ქიტიაშვილმა შენიშნა, მთავარი არაა ის, რომ იმ მომენტისათვის ვებ გვერდი იძებნებოდა თუ არა, არამედ მთავარია ის, რომ 2014 წლის შემდეგ, 2019 წლის 28 იანვრამდე, საბჭოს სხდომამდე, გარედან, დაინტერესებული ადამიანი ვერ მოიძიებდა კოლეჯის საიტს, რომ მიეღო ინფორმაცია.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ გაიხსნა საიტი საბოლოოდ.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ საბოლოოდ გაიხსნა საიტი. როცა დასკვნის პროექტი მიიღო კოლეჯმა, ამის შემდეგ დაიბარეს IT სპეციალისტი და გაასწორეს ხარვეზი. საიტი გაიხსნა, თუმცა საიტზე განთავსებული იყო ძველი ინფორმაცია.

ფაქტია და ოქმშიცაა დაფიქსირებული, რომ კოლეჯის დირექტორი ამბობს, რომ ვერ ახერხებდნენ ვებ გვერდის განახლებას, თურმე იყო ხარვეზი და IT სპეციალისტს 2014 წელს დაავიწყდა „დაქეშირება“ და ამის გამო საიტი გარეთ არ ჩანდა.

ნანა ბეროშვილმა აღნიშნა, რომ საიტი არ ჩანდა google-ში. არდადეგების დროს მიმდინარეობდა ვებ გვერდის განახლება.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ ის ნამდვილად ვერ ერკვევა საიტის „დაქეშირების“ საკითხში.

ზურაბ გასიტაშვილი დაინტერესდა, სხვა საძიებო სისტემიდან თუ იძებნებოდა კოლეჯის საიტი.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ექსპერტებს დეტალურად აქვთ ასახული არსებული გარემოება. ცალსახა და თვალნათელი დარღვევა, რაც გამოიკვეთა, არის ფართთან დაკავშირებული. აღნიშნა, რომ საბჭოს გაუჭირდა კოლეჯისთვის იმის ახსნაც კი, რომ დირექტორზე, როგორც ფიზიკურ პირზე გაფორმებული ფართი არ ნიშნავს იმას, რომ კოლეჯმა შეიძლება ისარგებლოს ამ ფართით.

ნანა ბეროშვილმა აღნიშნა, რომ მას ჰქონდა მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა კოლეჯს ესარგებლა ამ ფართით.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ თუ კოლეჯს ჰქონდა რაიმე დოკუმენტი, საკმარისი დრო ჰქონდათ, რომ გადაერეკათ დაწესებულებაში და ეთხოვათ ეს დოკუმენტი დაესკანერებინათ და გამოეგზავნათ. ლოგიკურია, თუ ეს დოკუმენტი არ არსებობდა, ვერ წარმოადგენდნენ, ამის დამტკიცებას და რეესტრში ასახვას ვერ მოასწრებდნენ. ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია არაუმეტეს 60 დღის ვადა განუსაზღვროს კოლეჯს ხარვეზების გამოსასწორებლად, თუკი ხარვეზი არის გამოსწორებადი.

გიორგი წიქარიშვილმა აღნიშნა, რომ მოქმედი რეგულაციით სტანდარტი შეიძლებოდა დარღვეულიყო ივნისიდან აგვისტომდე.

თამარ ქიტიაშვილი არ დაეთანხმა მას და აღნიშნა, რომ სტანდარტი უკვე დარღვეული იყო. კოლეჯს დაახლოებით 200 კვ.მ. ფართი ჰქონდა 2017 წლიდან.

გიორგი წიქარიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ასახულია გარემოება, რომ ივნისში გადის იჯარის ვადა და აგვისტოში ავტორიზაციის ვადა.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ იჯარის ვადა რაღაც დროის შემდეგ გასული იყო და კოლეჯს სარგებლობაში ჰქონდა მხოლოდ დაახლოებით 200 კვ. მ. ფართი. შესაძლოა კოლეჯმა იდაოს, არის თუ არა საკმარისი ეს ფართი 27 სტუდენტისათვის. ფაქტობრივად შეიძლება იყოს საკმარისი, თუმცა, საბჭო მსჯელობს ავტორიზაციის მინიჭებისას არსებული ფართის მიხედვით. თუ შემოიტანდა კოლეჯი ფართის ცვლილებაზე განაცხადს, ამ შემთხვევაში, საბჭოს ექნებოდა საფუძველი ემსჯელა ცვლილებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭო ითვალისწინებს ავტორიზაციის დროს არსებული გარემოებას, და მის შესაბამისობაზე მსჯელობს. მონიტორინგი იმ პირობების შესაბამისობას ისახავს მიზნად და არა გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად. რაც მთავარია, საბჭოს სხდომაზე საბჭოს ჩამოუყალიბდა სურათი და შინაგანი რწმენა იმისა, რომ ამ კოლეჯში არ მიმდინარეობს ჯანსაღად და სრულფასოვნად ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, საერთოდ სასწავლო პროცესები. ამას ადასტურებს ბევრი გარემოება, კოლეჯის დირექტორი ერთპიროვნული მმართველია, მას არ აქვს გარკვეული წარმოდგენა პროფესიული განათლების სისტემაში არსებულ საკანონმდებლო და სარეგულაციო ჩარჩოზე, დაწყებული რეავტორიზაციის ამ ახალი მაგალითიდან გამომდინარე, ასევე უძრავი ქონების გადაცემის და მისი განკარგვის წესებით დასრულებული. საბჭოს შეექმნა წარმოდგენა, რომ კოლეჯს არათუ არ აწყობდა მონიტორინგის ჯგუფის შესვლა კოლეჯში, ვინაიდან სავარაუდოდ არაა გამორიცხული, რომ სხვა დარღვევებიც აღმოეჩინათ, იმ სტანდარტებთან მიმართებით, რაც ვერ შემოწმდა, ფაქტია მონიტორინგის ჯგუფს ვერ მიეცა სრულფასოვნად მუშაობის შესაძლებლობა.

გიორგი ტრაპაიძემ აღნიშნა, რომ საბჭოს თავმჯდომარემ სრულყოფილად ჩამოაყალიბა არსებული მდგომარეობა. საუბარი ზედმეტია კოლეჯის მდგომარეობაზე. საბჭომ ვერ დაინახა კოლეჯის ინიციატივა ან რაიმე ქმედება ამისათვის. აღნიშნა, რომ საბჭომ ერთსულოვნად მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

ზურაბ გასიტაშვილმა კითხვით მიმართა ნანი დალაქიშვილს, რამდენადაც საკითხი დაისვა, რომ ერთი კაცი სრულიად საკმარისი იქნებოდა ავტორიზაციის პროცესის წარსამართად, დაინტერესდა რამდენად შესაძლებელია ერთი ადამიანი იყოს საკმარისი ავტორიზაციის პროცესისათვის.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე არ არის საუბარი საავტორიზაციო პროცესზე, საუბარია მონიტორინგზე, რომელსაც ახორციელებდა ცენტრის მონიტორინგის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი. თუნდაც ერთი ადამიანი რომ ყოფილიყო ადგილზე, რომელსაც შეეძლებოდა დოკუმენტაციის მიწოდება, მატერიალური ბაზის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება და მისი დათვალიერების შესაძლებლობა, იქნებოდა სავსებით საკმარისი. თუ სასწავლო პროცესი იყო დროებით შეწყვეტილი, რაც ნაკლებ სავარაუდოა, რომ სასწავლო გეგმით ყოფილიყო გათვალისწინებული, ასევე, ექსპერტთა ჯგუფს რომ მისცემოდა შესაძლებლობა ეს გეგმიური არდადეგები შეედარებინა სასწავლო გეგმასთან, რა შედეგს გამოიღებდა შედეგები, ამ ეტაპზე ამაზე ვერ ვიმსჯელებთ, ამ ყველაფრის ნახვის, აღწერის, შეფასების შესაძლებლობა, რომ ჰქონოდა ექსპერტთა ჯგუფს, შესაძლოა

გამოვლენილი ხარვეზები მეტი ყოფილიყო, თუმცა მეტად მყარი და გამამართლებელი არგუმენტები შეიძლება ჰქონოდა დაწესებულებას.

ნანა ბეროშვილი დაინტერესდა, რა მეტი მყარი არგუმენტები უნდა ჰქონოდა კოლეჯს. შენიშნა, როცა ცენტრიდან დაუკავშირდნენ ტელეფონით, მან სთხოვა მონიტორინგის ვიზიტის გადადება, რადგან კოლეჯში არდადეგები იყო გამოცხადებული, ამის გარდა ის იმყოფებოდა საავადმყოფოში. აღნიშნა, რომ საავადმყოფოში მოხვდა შემთხვევით. იმყოფებოდა ახლობლის სანახავად და თვითონ გახდა ცუდად.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ყველაფერი გასაგებია. დაინტერესდა როდის დასრულდა არდადეგები.

ნანა ბეროშვილმა უპასუხა, რომ 15 იანვარს განახლდა სასწავლო პროცესი.

თავმჯდომარე დაინტერესდა, ექსპერტთა დასკვნის პროექტი როდის გაეგზავნა კოლეჯს.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ დეკემბერში გაიგზავნა დასკვნის პროექტი.

ნანა ბეროშვილმა აღნიშნა, რომ ამ დროისათვის ჯერ ისევ არდადეგები იყო და ამიტომ შენობა იყო დაკეტილი, შესაბამისად ვერ ჩაბარდა.

გიორგი სალუქვაძე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა კოლეჯს სამართლებრივი უფლება გამოეცხადებინა არდადეგები და როცა ოფიციალურად გამოცხადებულია არდადეგები, სავალდებულოა თუ არა შენობაში იმყოფებოდეს ვინმე, რომ არ იყოს კოლეჯი დაკეტილი.

თამარ ქიტიაშვილმა უპასუხა მას, კოლეჯი თავისი შინაგანაწესით არეგულირებს არდადეგების საკითხს. სამწუხაროდ, ექსპერტებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ ენახათ შინაგანაწესი.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დგება კალენდარული გეგმა, და ასე მარტივად არ ხდება მასში ცვლილება და შესაბამისი ბრძანების გამოცემა.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ კოლეჯის ადგილზე, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ ცენტრში წარმოადგენდა შინაგანაწესს და მთელ დოკუმენტაციას, რადგანაც, ექსპერტებს საიტზე ატვირთული დოკუმენტაცია მოძველებული დახვდათ.

გიორგი წიქარიშვილმა შენიშნა, რომ ექსპერტებს უნახავთ დაწესებულების საიტი.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ, როცა კოლეჯმა საიტი გაასწორა, ექსპერტებმა ნახეს საიტი. შენიშნა, რომ დასკვნის შემდეგ, როცა ის დაინტერესდა, უკვე ყველაფერი მოწესრიგებული იყო საიტზე.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭო იმაშიც არაა დარწმუნებული რომ კოლეჯს 27 სტუდენტი ჰყავს, რამდენადაც ექსპერტებს არ უნახავთ მათი ჩარიცხვის ბრძანება და დოკუმენტაცია.

ნანა ბეროშვილმა აღნიშნა, რომ ყველაფერი ატვირთულია ემისის ბაზაში და საჯაროა ეს ინფორმაცია.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ ამისთვის არსებობს მონიტორინგის ჯგუფი და ამიტომ უნდა მიეცათ შესაძლებლობა მათთვის მიეღოთ სრული ინფორმაცია.

თამარ ბაღდავაძე დაინტერესდა, კოლეჯის ტერიტორიაზე სხვა რაიმე დაწესებულება თუ ფუნქციონირებს.

ნანა ბეროშვილმა აღნიშნა, რომ სხვა დაწესებულება არაფერი არ ფუნქციონირებს, შენობის პირველი სართული ცარიელია და დაკეტილია, კოლეჯი არის მეორე სართულზე და მას იცავს დაცვის სამსახური.

გიორგი წიქარიშვილმა აღნიშნა, რომ მსჯელობა უნდა იყოს თანმიმდევრული. ყველაზე საპასუხისმგებლო პროცესი, რაც ავტორიზაციის შემდეგ შეიძლება საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაიაროს არის მონიტორინგი. საკითხი მდგომარეობს შემდეგში, თუ რატომ არ დახვდათ კოლეჯში ვინმე, თუნდაც დარაჯი. დაინტერესდა შეიძლება თუ არა ასეთი პროცესის ნდობა კოლეჯის დარაჯისათვის.

ირაკლი მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ მან ახსენა დარაჯი, მხოლოდ იმ მიზნისათვის, რომ მას შეეშვა კოლეჯში ექსპერტები. აღნიშნა, რომ გიორგი წიქარიშვილი დემაგოგობდა.

გიორგი წიქარიშვილმა აღნიშნა, რომ ბევრი ვარაუდი გამოიხატა სხდომაზე. დაინტერესდა, რა უშლიდა ხელს ცენტრს, რომ არსებული ფაქტობრივი, ლეგიტიმური გარემოების გათვალისწინებით, დროებით გადადებულიყო ვიზიტი და ყველა წესის დაცვით, შესაბამისად საბჭოს გადაწყვეტილება დაფუძნებოდა არა სუბიექტურ ვარაუდს. აღნიშნა, რომ უდავოა, რომ ფაქტობრივი გარემოებები არ იქნა შესწავლილი.

თამარ ქიტიაშვილმა იკითხა, ვისი მიზეზით არ იქნა შესწავლილი ფაქტობრივი გარემოებები.

გიორგი წიქარიშვილმა აღნიშნა, რომ მიზეზი იყო ის, რომ ადმინისტრაცია და სტუდენტები იყვნენ არდადეგებზე და ეს არ იყო დარღვევა.

გრიგოლ ტატიშვილი დაინტერესდა, ეს მიზეზი, არის თუ არა საფუძველი, რომ არ ჩატარდეს მონიტორინგი. შეიძლება თხოვნა იყო გადადების, ცენტრის მხრიდან კეთილი ნების გამოჩენის, რაც არ იქნა გაზიარებული და იკითხა ამით დაირღვა თუ არა კანონი.

გიორგი წიქარიშვილმა აღნიშნა, რომ არის მთელი რიგი საგამომიებო პროცესები, იქ უნდა მოხდეს უზრუნველყოფა, რომ არაფერი შეიცვლება, არ უნდა არსებობდეს ვარაუდი იმისა, რომ რაიმეს ბოროტად ვინმეს შეცვლის, უნდა მოხდეს ფაქტების კონსტანტაცია. პროცესები, რომ შეჩერებულია, ამაში დარღვევა არაა, ასევე არაა დარღვევა, როცა არდადეგების დროს კოლეჯში არავინ არაა. ცალსახად, რეგულაცია ამაზე არ არსებობს. შესაძლებელი იყო ვიზიტის გადადება და ამ ფაქტების კონსტანტაციის უზრუნველყოფა, რომ კოლეჯი არაფერს არ შეცვლიდა და ბოროტად არ გამოიყენებდა. შესაძლებელი იყო გადადებულ ვიზიტზე ყველა გარემოების დეტალური შესწავლა. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს განათლება ნებისმიერ საფეხურზე. სახელმწიფომ თავის დროზე, 2014 წელს, მიიჩნია, რომ ეს ვალდებულება შეიძლება განახორციელოს კოლეჯმა. მონიტორინგის არსი არის არა ის, რომ პირს პასუხი აგებინოს და შეუსაბამოს მკაცრი ღონისძიებები, არამედ ის

რომ არ დაუშვას სათანადოზე დაბალი ხარისხით განათლების მიწოდება ან შეფერხება. შენიშნა, რომ აპელირებენ მონიტორინგის სადამსჯელო ხასიათზე, რომ მონიტორინგი მოვა მაშინ, როცა არ ელოდები. შენიშნა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მთავარია მიღწეულ იქნას მიზანი, და არა ის, რომ ინახოს საფუძველი ან საბაზი კონკრეტული მიზნის პასუხისმგებლობისათვის. ზემოქმედების ღონისძიება, მთლიანად თავისი არსით, რაც გატარდა კოლეჯის მიმართ, არის ყველაზე მკაცრი ღონისძიება, რაც შეიძლება გატარდეს. აღნიშნა, რომ ეს ღონისძიება, ყველაფრისგან დამოუკიდებლად, არის ყოველად შეუსაბამო, მკაცრი და სულ მცირე, თუ სუბიექტს მთლიანად ერთმევა საქმიანობის განხორციელების უფლება, იქნებ განსაზღვრულიყო გადაწყვეტილების ამოქმედების ვადა. გატარებული ღონისძიება, რომ იყოს უმნიშვნელო, კოლეჯი მიიღებდა და დაეთანხმებოდა ამ ღონისძიებას. შენიშნა, რომ ამგვარ გადაწყვეტილებას სჭირდება გაცილებით მაღალი ხარისხით ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა. ამგვარი გადაწყვეტილების მიღების დროს არ უნდა არსებობდეს თეორიული შესაძლებლობაც კი იმისა, რომ კოლეჯს ჰქონდა თავისი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა და მას ეს არ დააცვეცინეს. კოლეჯს არ მიეცა შესაძლებლობა, მეტი არგუმენტები წარმოედგინა.

მონიტორინგის სადამსჯელო ხასიათზე გიორგი წიქარიშვილის მოსაზრებას არ დაეთანხმა თამარ ქიტიაშვილი.

გრიგოლ ტატიშვილმა იკითხა აღნიშნული გულისხმობს თუ არა, რომ რაღაც ნიშნით დისკრიმინაციას ჰქონდა ადგილი.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ საგნობრივი პროგრამის სტუდენტებს ეხება საქმე, რომლებიც სხვა კოლეჯში ვერ მოახერხებენ გადასვლას და სწავლის გაგრძელებას. ეს 27 სტუდენტი ჰაერში დარჩა.

ირაკლი მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ პირადად მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სტუდენტების ბედი. აღნიშნა, რომ კოლეჯი უნდა აპელირებდეს და დაინტერესებული უნდა იყოს სტუდენტების ბედით.

ნანა ბეროშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოზეც აღნიშნა მან, რომ დაინტერესდა, რა ბედი ეწეოდათ ამ სტუდენტებს. აღნიშნა, რომ მისთვის ამ სტუდენტების ბედი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადმინისტრაციის.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს, რომ თითქოს ფართის პრობლემა იწყებოდა ივნისის თვიდან და შესაძლებელი იყო ვადის განსაზღვრა ამის გამოსასწორებლად, ლოგიკურია ეს გამოსწორებადი იქნებოდა. პირველი იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული იყო 2016 წელს 1 წლის ვადით, რომელსაც 2017 წელს გაუვიდა ვადა, ხოლო მეორე ხელშეკრულებას, რომლითაც 200 კვ. მ. ფართი აქვთ, ვადა გასდის მიმდინარე წლის ივნისში.

ნანა ბეროშვილმა აღნიშნა, რომ კოლეჯს არ აქვს ვალდებულება ჰქონდეს 400 კვ.მ. ფართი.

თამარ ქიტიაშვილმა განმარტა, რომ კოლეჯს არ ექნება ეს ვალდებულება, თუ სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება 100-ს.

ნანა ბეროშვილმა აღნიშნა, რომ კოლეჯს 100 სტუდენტზე მეტი არასდროს ყოლია.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებით 100 სტუდენტზე მეტი ზღვრული რაოდენობა აქვთ განსაზღვრული. განუმარტა, რომ საუბარი არაა ფაქტობრივად არსებულ აქტიურ სტუდენტთა რაოდენობაზე. შენიშნა, რომ არასაკმარისი ფართის პრობლემა 2017 წლიდან დგას კოლეჯში.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ 2018 წლის იანვარში ცვლილება შევიდა ავტორიზაციის დებულებაში, რის მიხედვითაც თითოეულ ავტორიზებულ კოლეჯს ევალებოდა განესაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეული პროგრამისთვის ავტორიზაციის საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული რაოდენობის ფარგლებში. კოლეჯმა 2018 წლის მარტში წარმოადგინა ოფიციალური კორესპონდენცია და შესაბამისი განაწილება, რის საფუძველზეც 2018 წლის ივნისში, ცვლილება შევიდა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში. ახლა ირკვევა, რომ ამ დროისათვის უკვე იყო დარღვევა, რადგან კოლეჯს 2017 წლის ნოემბრიდან მხოლოდ 200 კვ. მ. ფართი ჰქონდა, თუმცა ამის შესახებ არ აცნობა ცენტრს, რისი ვალდებულებაც ჰქონდა ავტორიზაციის დებულების 30² მუხლის მიხედვით.

გიორგი წიქარიშვილმა აღნიშნა, რომ ფართის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ცენტრს შეეძლო ენახა ეს ინფორმაცია, თუმცა ცენტრმა 2018 წელს ივნისში დაადასტურა და კოლეჯს კვლავ 160 სტუდენტის რაოდენობა დაუდასტურა გადაწყვეტილებით. ეს არ არის ინფორმაცია, რომელიც იმ სეიფშია, რომლის გასაღები არ აქვთ.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ გიორგი წიქარიშვილის კომპეტენციაში ეჭვი არ ეპარება, თუმცა არსებობს ავტორიზაციის სტანდარტები, კოლეჯმა თავისი სურვილით გაიარა ავტორიზაცია და კოლეჯი ვალდებულია დაიცვას ამ სტანდარტების მოთხოვნები.

ნანა ბეროშვილმა აღნიშნა, რომ გიორგი წიქარიშვილი მისთვის ოჯახის წევრია და კომპეტენტურია და აქვს უფლებამოსილება კოლეჯისგან, რომ ისაუბროს კოლეჯის სახელით.

ეკა ლეფსვერიძემ აღნიშნა, რომ მასალების გაცნობისას გაარკვია, რომ პროგრამები ხორციელდებოდა მიღევად რეჟიმში და 2019 წლის აგვისტომდე სტუდენტებს ამთავრებინებდა სწავლას. ხოლო სააპელაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროგრამაზე, კოლეჯს ყავს 6 სტუდენტი 2017 წლიდან და სწავლა სრულდება 2020 წელს, კოლეჯს ასევე ყავს 3 სტუდენტი 2018 წლიდან, რომლებიც სწავლას ასრულებენ 2021 წელს, რაც ნიშნავს, რომ 2019 წლის აგვისტომდე არსებული ავტორიზაციის ფარგლებში, ეს სტუდენტები ვერ მოასწრებდნენ სწავლის დასრულებას. შენიშნა, რომ ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით, პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, ინსტიტუციას უნდა ჰქონდეს შემუშავებული მობილობის წესი, რომლითაც თავის სტუდენტებს ერთგვარად დააზღვევს, რომ არ დარჩნენ სასწავლებლის გარეშე.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში გამონაკლისია, რადგან საქმე ეხება საგნობრივ პროგრამებს.

ნანა ბეროშვილმა აღნიშნა, რომ ცენტრის წარმომადგენელმა, კახაბერ ერაქმე დაწესებულებებს განუმარტა, რომ ჰქონდათ შესაძლებლობა 2018 წლის 31 დეკემბრამდე მიეღოთ სტუდენტები საგნობრივ პროგრამებზე. აღნიშნა, რომ კოლეჯი 2019 წლის მარტში გეგმავდა ავტორიზაციის განაცხადის შეტანას, რომ 1 სექტემბრამდე მიეღო ავტორიზაცია, ამას ადასტურებს ახალი საკუთარი შენობის პროექტით. ამ დროისათვის კოლეჯის პრაქტიკოსი ექთნის პროგრამაზე დარჩენილი სტუდენტები ეყოლებოდათ და კოლეჯი უზრუნველყოფდა ამ საგნობრივ პროგრამაზე დაესრულებინათ სწავლა.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, ცენტრი განუმარტავდა მათ, რომ ავტორიზაციის უწყვეტობის შემთხვევაში სტუდენტებს შეუნარჩუნდებოდათ სტატუსი. აღნიშნა, რომ მოხარული იქნება, რომ კოლეჯი მოემზადოს და უზარვეზოდ გაიაროს ავტორიზაცია. აღნიშნა, რომ საბჭო მოხარული იქნება, რაც შეიძლება მეტი განათლების ძლიერი პროვაიდერი იყოს. შენიშნა, რომ საბჭო ზედმეტად მკაცრი და შეუვალია, როცა საკითხი ეხება სტუდენტებს. საბჭო კომპრომისს არ აკეთებს ხარისხზე, რადგანაც მიაჩნია, რომ ეს არის სტუდენტთა ინტერესების დაცვა, რომ მათ ქონდეთ თანამედროვე და მაღალი სტანდარტების კვალიფიკაცია და არა ვითომ კვალიფიკაცია. თუკი ამ კვალიფიკაციის ხარისხი საეჭვოა, მითუფრო, რომ ეს კერძო კოლეჯია და მშობლები ფულს იხდიან ამ განათლებაში, იმსახურებენ იცოდნენ, რა პრობლემებია ამ დაწესებულებაში, რამეთუ სტუდენტებს აქვთ უფლება მიიღონ მაღალი ხარისხის განათლება. ასევე, ხარისხიან მომსახურებას იმსახურებენ ის ადამიანები, რომლებსაც მოემსახურება ამ კოლეჯის კურსდამთავრებულები.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ მიიღო ორივე მხარისაგან საკმარისი ინფორმაცია. დაინტერესდა, საბჭოს წევრებს კითხვები ხომ არ ჰქონდათ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ სათათბიროდ შესვენება გამოაცხადა 19:25 სთ-ზე. სხდომა განახლდა 19:45 სთ-ზე.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭომ იმსჯელა და მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს „გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი“-ის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 იანვრის №11 გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26⁷-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნას „შპს „გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი“-ის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 იანვრის №11 გადაწყვეტილება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 19:50 საათზე.

თავმჯდომარე

ნოდარ პაპუკაშვილი

მდივანი

გრიგოლ ტატიშვილი

